ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 145

"30" ივნისი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ზურგოვანას" (ს/კ 402027551) შორის 2019 წლის პირველ მაისს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-459-10-23267 ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127^2 მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ზურგოვანას" (ს/კ 402027551) შორის 2019 წლის პირველ მაისს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-459-10-23267 ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის №20.597.746 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ზურგოვანას" (ს/კ 402027551) შორის 2019 წლის პირველ მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-459-10-23267 ხელშეკრულების „ბ" პუნქტით გათვალისწინებული პირობა - „შეზღუდვა „უძრავი ქონების სამშენებლო განვითარება განხორციელდეს მიმდინარე არეალზე განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე